

# საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ხათუნა სახვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”*

ხათუნა სახვაძე

07.06.2015წ.

## სარჩევი

აბსტრაქტი -----	IV
მადლობა -----	VI
საკვანძო ტერმინების განმარტებები -----	VII
შესავალი -----	10
<b>თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა -----</b>	<b>14</b>
მეთოდოლოგია -----	18
<b>თავი 2. 2.1 თალიბანის რეჟიმის დამხობა და სამშვიდობო ოპერაცია ავღანეთში ---</b>	<b>20</b>
2.2 ნატო ავღანეთის ოპერაციაში -----	21
2.3 აშშ და მოკავშირე ქვეყნები -----	24
2.4 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია -----	26
<b>თავი 3. 3.1 2005 წლის ტერორისტული აქტი ლონდონში -----</b>	<b>29</b>
3.2 ნატო და გაერო 2005 წლის ლონდონის ტერაქტზე -----	30
3.3 სახელმწიფოების პასუხი ლონდონის ტერორისტულ აქტზე -----	31
<b>თავი 4. შემთხვევის შესწავლის შედეგები -----</b>	<b>33</b>
<b>კვლევა ნეორეალიზმის ჭრილში -----</b>	<b>36</b>
<b>დასკვნა -----</b>	<b>38</b>
<b>ბიბლიოგრაფია -----</b>	<b>40</b>
ცხრილი 1: ავღანეთში არსებული მდგომარეობის სტატისტიკა 2004-2007 წლებში.....	22
გრაფიკი 1: დაღუპულთა სტატისტიკა 2001-2014 წლებში.....	30

## აბსტრაქტი

ნაშრომის: „საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“, კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რომელ დონეზე უფრო ეფექტურია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა - საერთაშორისო ორგანიზაციების, თუ ცალკეული სახელმწიფოების. საერთაშორისო ორგანიზაციებში კონკრეტულად, იგულისხმება ნატო და გაერო. კვლევის მიზანია გამოირკვეს, თუ როგორ მოქმედებენ, როგორც ნატო და გაერო, ასევე ცალკეული სახელმწიფოები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა არ იქნება ეფექტური ნატოსა და გაეროს ჩართულობის გარეშე.

კვლევის დიზაინია შემთხვევის შესწავლა (Case Study). კონკრეტულად კი, განვიხილავ 2 ქეისს: 1. 2001 წელს ავღანეთში ამერიკის ინტერვენცია და შემდგომი სამშვიდობო მისია. 2. 2005 წლის 7 ივლისის ტერაქტი ლონდონში. განსახილველი შემთხვევების შესახებ არსებული ინფორმაციის მოძიების, დოკუმენტების ანალიზისა და აღწერის საშუალებით ვლინდება, ნატოს და გაეროს როლი ავღანეთში, ტერორიზმის ბაზასთან ბრძოლაში. ამასთან, ლონდონის ტერაქტის ანალიზი აჩვენებს, როგორ მოქმედებენ ცალკეული სახელმწიფოები უკვე მომხდარი ფაქტის დროს. აღნიშნული ორი შემთხვევა აბსოლუტურად განსხვავებულია, რაც განაპირობებს, მათი შედარების საშუალებით, ობიექტური ინფორმაციის მიღებას. შემთხვევის ანალიზი აჩვენებს, რომ ავღანეთში უსაფრთხოების დაცვა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება გაეროსა და ნატოს გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. მხოლოდ აშშ-ს ძალისხმევა, საკმარისი არ არის საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. კონკრეტული ქვეყნები, კი სამშვიდობო მისიაში მონაწილეობას, აღნიშნული ორი ორგანიზაციის ფარგლებში იღებდნენ. 2005 წლის ტერორისტული აქტი კარგად აჩვენებს ცალკეული სახელმწიფოების რეაქციებს, როდესაც დგება ტერორიზმის საზარელი ფაქტი. ევროპის სახელმწიფოები გამოხატავენ სოლიდარობას ბრიტანეთისადმი და ტერორიზმთან ბრძოლას თავიანთი უსაფრთხოების ზომების გაძლიერებით იწყებენ.

საკითხი განიხილება ნეორეალიზმის თეორიის ჭრილში. თეორიის მიხედვით, ავღანეთის მიერ ტერორისტული დაჯგუფებების მხარდაჭერა, აშშ-ს მხრიდან ფასდება, როგორც ეროვნული ინტერესების საფრთხე. მთავარი ეროვნული ინტერესი თვითგადარჩენაა და სწორედ ამით აიხსნება აშშ-ს ინტერვენცია ავღანეთში. რაც შეეხება ნატოსა და გაეროს, ეს ორგანიზაციები ეფექტურია რადგან ძლიერი ქვეყნების სურვილითაა შექმნილი. დანარჩენი წევრი ქვეყნები კი ცდილობენ თავი გამოიჩინონ, რათა შემდეგ თავადაც ქონდეთ დიდი სახელმწიფოების დახმარების იმედი. ცალკეული ქვეყნები იბრძვიან ტერორიზმის წინააღმდეგ და იმისათვის, რომ მიზანს ადვილად მიაღწიონ, ქმნიან და უერთდებიან საერთაშორისო ორგანიზაციებს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები: საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო ტერორიზმი, ეროვნული ინტერესები, უსაფრთხოება, ინტერვენცია.**

## Abstract

Master's Thesis "The role of international organizations in the fight against terrorism," aims to research which level is more effective for fight against international terrorism - international organizations, if individual states. International organizations in particular, is meant to NATO and the United Nations. The goal is also to clear how to act NATO, UN and individual states in the fight against international terrorism. We believe that fighting against international terrorism will not be effective without the involvement of NATO and the United Nations.

Design of research is Case Study. In particular, we will review 2 cases: 1.US intervention in Afghanistan and the subsequent peacekeeping mission. 2. The terrorist attacks in London on July 7, 2005. Information about cases and analysis of documents will show the role of NATO and UN in fight against terrorism base. In addition, the London terrorist attack shows, how the individual states act during the incident. The two absolutely different cases comparison makes us objective vision. Research will demonstrate, that Afghanistan's security and defense institutions would be unthinkable without the United Nations and NATO. Only the US effort, is not enough in the fight against international terrorism. As for other states, they participate in the peacekeeping mission, within the United Nations and NATO. Terrorist Act of 2005 clearly shows the reactions of individual states, when it comes to terrorism horrific fact. European states express their solidarity to Britain and start fight against terrorism from enhanced their own security measures.

The issue will be discussed in the context of neo-realism theory. According to the theory, Afghanistan's support for terrorist groups, the United States can be regarded as a threat to national interests. State's main national interest is self-preservation, so this explains US's intervention in Afghanistan. As for NATO and the UN, the organizations are effective, because they are created by strong states. The rest member countries are trying to appear their support, in order to have strong state's hope later themselves. Individual countries fight against terrorism. In order to achieve their goals, create and join international organizations.

**Key words: International organizations, International terrorism, National interests, Security, Intervention.**

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკით დაინტერესებისა და თემის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო, ჩემს სამეცნიერო-აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ბატონ ტარიელ სიხარულიძეს. ბატონი ტარიელი აქტიურად იყო ჩართული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში, მაძლევდა კომპეტენტურ რჩევებს და მეხმარებოდა საჭირო მასალების სწორად შერჩევაში. აგრეთვე, მინდა მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ქალბატონ ნინო რჩეულიშვილს. როგორც ჩემმა ლექტორმა სოციალურ კვლევის მეთოდებში, მან კონსულტაცია გამიწია და მომცა სწორი მიმართულება კვლევის მეთოდთან დაკავშირებით.